“დიდი პრობლემები შეგვექმნება, თუ ეს დაძაბულობა კიდევ დიდხანს გასტანს და ხელისუფლება ან ოპოზიცია უფრო რადიკალურ ზომებს მიმართავს!”

გაზეთი “ვერსია” – 13-14 მაისი, № 55, 2009

მოლაპარაკება, რომელსაც ქართული და საერთაშორისო საზოგადოება დიდი ხანია ელოდებოდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შედგა. როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე რაუნდიც უშედეგოდ დასრულდა. რა გამოსავალი რჩება ქვეყანას და რას ნიშნავს ოპოზიციისა და ხელისუფლების რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულებ არსებული მდგომარეობისადმი, რა პერსპექტივა აქვს ქვეყანას, რა უნდა გაითვალისწინოს ორივე მხარემ, თუ ქვეყნის ბედი რეალურად აღელვებთ და ამ ფონზე რა ხდება საქართველოს ეკონომიკაში. “ვერსია” ეკონომიკის ყოფილ მინისტრს, ყოფილ დეპუტატს, ექსპერტ ლადო პაპავას ესაუბრა.

– დიდი ხანია ვხედავთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ სურვილი, რეალობას თვალი გაუსწორონ და შეაფასონ რა ვითარებაა შექმნილი, როგორც ქვეყანაში ასევე მის გარშემო. აქედან დამომდინარე, ისინი, რა თქმა უნდა, არც ოპოზიციასთან დათმობაზე არ წავიდოდნენ და არც ეს შეხვედრა ჩაითვლება დიდი შედეგის მომტანად, მაგრამ იმავდროულად, შეხვედრა აუცილებელი იყო, რადგან იქმნებოდა ილუზია, რომ ხელისუფლება მოდის დიალოდზე, ოპოზიციას კი არ უნდა. თითქოს ხელისულლება რაღაც განსაკუთრებულს სთავაზობდა საზოგადოებას, ოპოზიოცია კი ბრმად უარყოფდა. შეხვედრამ დაგვანახა, რომ დიალოგი უშედეგოდ დამთავრდა. საზოგადოებამ კიდევ ერთხელ დაინახა, რომ რომ ხელისუფლება ვერ ხედავს მათ პროტესტს, უკმაყოფილებას. აუცილებელია ეს იცოდეს საერთასორისო საზოგადოებამაც, რომელიც ხელისუფლებას, უფრო კი ოპოზიციას მოუწოდებდა, რომ დიალოგზე წასულიყვნენ. მათაც უნდა

გაიგონ, რომ ის პრობლემები რაც საზოგადოებასა და ოპოზიციას აწუხებს, ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევი არ არის.

– შეხვედრიდან გამოსულმა ოპოზიციამ განაცხადა, რომ ქვეყანასი არსებულ მდგომარეობაზე რადიკალურად განსხვაებილი მოსაზრებები აქვს, ხელისუფლებას. თუ ოპოზიცია თვლის, რომ ყველაფერი ძალზე ცუდადაა, ხელისუფლება ამბობს, რომ ყველაფერი კარგადაა. როგორც ექსპერტი, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, როგორ ფიქრობთ, ყველაფერი კარგადაა თუ ოპოზიცია არ აჭარბებს და მართლაც უმძიმეს მდგომარეობაში ვართ?

– ყველაფერი კარგად რომ იყოს, პრეზიდენტი ოპოზიციის წარმომადგენლებს შსს-ს თუნდაც ახლადაშენებულ შენობაში არ მიიღებდა. პრეზიდენტს საკუთარი რეზიდენცია აქვს! არც პარლამენტის თავმჯდომარე არ მიიღებდა ოპოზიციის ლიდერებს რომელიღაც სასტუმროში, მასაც თავისი კაბინეტი აქვს პარლამენტში. ეს, რაც ვიზუალურად ჩანს. აბა, როგორ არის საქმე კარგად, როცა თვეზე მეტია, პარლამენტი არ შეკრებილა და არანაირი კანონშემოქმედებითი საქმიანობა არ გაუწევია. პრეზიდენტი ვერ შედის თავის ადმინისტრაციულ შენობაში და მოვალეობის შესრულება უჭირს, მთავრობა ნორმალურ რეჟიმში სხდომებს ვერ ატარებს. თუ შევხედავთ ჩვენს დამოკიდებულებას მეზობელ სახელმწიფოებთან და არა მხოლოდ მათთან, აქაც სიტუაცია საკმაოდ მძიმეა. გავიხსენოთ, რომ მიხეილ სააკაშვილს, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, საკმაოდ ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა შეხვედრებზე როგორც საქართველოას პრეზიდენტს. დღეს ასეთი შეხვედრები ათმაგად მაინც შემცირდა. შემდეგ ის გამაღიზიანებელი განცხადებები, რომელიც მან გააკეთა მეზობელი სომხეთის, სტრატეგიული პარტნიორის უკრაინის, ევროკავშირის ერთი უძლიერერსი სახელმწიფოს გერმანიის ან ბალტიის ქვეყნების მიმართ. ამ სახელმწოფოებსაც გარკვეულწილად, გული გაუტყდათ ჩვენთან მიმართებაში. რაც შეეხება ქვეყნის შიგა მდგომარეობას, ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, რომელიც შერბილებულია იმით, რომ როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლს, დონორებმა გასულ წელს ფინანსური დახმარება გამოგვიყვეს. ასეთ ვითარებაში როგორ შეიძლება ჩათვალოს კაცმა, რომ ყველაფერი კარგად არის? მეორე მხრივ, როდესაც რუსთაველზე ამდენი ხალხია შეკრებილი, ამხელა საპროტესრო მუხტია და პრეზიდენტი არც თუ ისე შორს, მარჯანისვილის თეატრის კაფეში მიდის

სავახშმოდ, ალბათ მართლაც არ არის ადექვატური და ბოლომდე ვერ წარმოუდგენია, რა პრობლემებთან აქვს საქმე.

– ოპოზიციასთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა ჩაატარა ბრიფინგი, სადაც თქვა, რომ ამდენი ხალხი გარეთ შიმშილმა გამოიყვანა. მსგავსი შეფასება მოსმენილი გვაქვს 2007 წლის საპროტესტო აქციების დროსაც, სინამდვილეში რამ გამნოიყვანა ხალხი ქაუჩაში?

– ახლაც და მაშინაც ხალხი გარეთ გამოიყვანა შელახულმა ღირსებამ, შეურაცხყოფამ. 2007 წელის 7 ნოემბრის შემდეგ დაწყებულ წინასაარჩევნო კამპანიაში პრეზიდენტობის კანდიდატმა სააკაშვილმა საკმაოდ ოსტატურად გამოცვალა თემა და შელახული ღირსება სიღარიბით ჩაანაცვლა. სხვათაშორის, შემდეგ ამ ხაფანგში ოპოზოციაც გაება და წინასაარჩევნო კაპანიის დროს ყველა სიღარიბის დაძლევის რაღაც გრანდიოზულ, ფართომასშტაბიან პროექტებს გვთავაზობდა. დღესაც ეს თემა გრძელდება, მაგრამ თუ სიღარიბე ამდენად მნიშვნელოვანია, რატომ თქვა პრეზიდენტმა უარი სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე ხელისუფლებაში მოსვლისთანავე 2004 წელს და მის თვალსაწიერში ეს პრობლემა რატომ გამოჩნდა მხოლოდ 2007 წლის ნოემბრის შემდეგ? და თუ ეს პრობლემა მართლაც დადგა, რატომ არ აქვს დღეს ქვეყანას სიღარიბის დაძლევის პროგრამა? ის რაც არის, პროგრამა კი არა, ზოგადი განცხადების მეტი არაფერია. თუ სიღარიბეა მთავარი პრობლემა ქვაყანაში, მაშინ ამის დასტურად მის მთავრობას პროგრამა მაინც უნდა ჰქონდეს, რაც სამწუხაროდ, არ გააჩნია. სამწუხაროდ, ყველაფერი მხოლოდ სიტყვების, პიარის დონეზე რჩება.

– 2007 წლის შემდეგ ქვეყანას მართლაც ბევრი რამის გადატანა მოუხდა. არ თმობს ხელისუფლება, უკან დახევას არც ოპოზიცია გეგმავს, ამ დროს ქვეყნის ეკონომიკა უკან და უკან მიდის. ხომ არ მოვექეცით "კავკასიური ცარცის წრეში", არსებობს გამოსავალი?

– აქ ეკონომიკა არაფერ შუაშია "კავკასიურ ცარცის წრეში" საქართველოა მოქცეული. ახლა მთავარია, ვინ არის "დედა". კარგად ვიცით ვინ არის "აზდაკი" – ეს ჩვენი ხალხია, ახლა მთავარია, ვინ არის ის "გრუშე ვაჩნაძე", ვინც თავისი არსებით არის ნამდვილი დედა. ეს დაპირისპირება არსებობს და ხალხი სწორედ "გრუშე ვაჩნაძეს" გაჰყვება.

– მოლაპარაკების შედეგიდან გამომდინარე, ოპოზიცია საპროტესტო აქციების გამწვავებას აპირებს, რა შეიძლება მივიღოთ?

– თვითონ ოპოზიცია ვერაფერს ვერ გაამწვავებს. ეს ფორმულირება ჩემთვის მიუღებელია. პრეზიდენტის განცხადებები ყველა არხით გადაიცა და მთელმა საქარტველომ ნახა.. ამის შემდეგ თუ ხალხში უფრო მეტი საპროტესტო მუხტი გაჩნდება, ხალხი თვითონ გამოვა გარეთ, ხოლო ოპოზიციის ფუნქცია იქნება, ეს მუხტი სწორად წარმართოს. ოპოზიციის განცხადება, რომ გააქტიურებს საკუთარ საქმიანობას, შედეგის მომტანი იქნება, თუ ხალხს აღმოაჩნდება შესაბამისი საპროტესტო მუხტი. თუ ეს მუხტი არ იარსებებს, ოპოზიციამ რაც არ უნდა მოისურვოს, არაფერი არ გამოვა. ვფიქრობ, ხელისუფლებამ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, საზოგადოების მიმართ ასეთი გამაღიზიანებელი პოზიციის გამოხატვით. ის ვერ აცნობიერებს, რომ ახლა, თუნდაც ეს ოპოზიციური განწყობა რომ შენელდეს და რაღაცნაირად ისევ "სახლებში" დაბრუნდეს, შესაძლოა შემდეგი ტალღა ბევრად უფრო მძიმე იყოს და მან არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ქართული სახელმწიფოც იმსხვერპლოს. ამ პასუხისმგებლობას ქვეყნის დღევანდელი ლიდერები ვერ აცნობიერებენ.

– ეს რა შემთხვევაშია მოსალოდნელი?

– ეს მაშინ მოხდება, თუ ხალხი ოპოზიციის დრევანდელი ლიდერების ნდობას დაკარგავს და მათ არ გაყვება. ეს არ ნიშნავს, რომ ხალხს პროტესტის გრძნობა გაუქრება. მოთხოვნა გაჩნდება ბევრად უფრო აგრესიულ ოპოზიციურ სახეებზე, ხოლო როდესაც აგრესიაზე მოთხოვნა ჩნდება, სამწუხაროდ, მერე ასეთი ადამიანებიც გამოჩნდებიან ხოლმე. ეს ყველაზე ცუდი სცენარია და არ მინდა, 90-იანი წლების დასაწყისი განმეორდეს. ეს ქვეყნის სრული კატასტროფა იქნება.

– როცა ამ საფრთხეზე საუბრობთ, ალბათ საფუძველსაც ხედავთ...

– რა თქმა უნდა, საფუძველი არსებობს. როდესაც ადამიანი ხედავს, რომ მისი ხმა ხელისუფლებისათვის ყურადსაღები არ არის, ცდილობს, რომ უფრო მეტად ახმაურდეს და რადიკალურად მოიქცეს, რომ უფრო შესამჩნევი გახდეს. ეს მსოფლიო ისტორიისთვისაც კარგად არის ცნობილი და ამ მხრივ მხოლოდ საქართველო არ არის გამორჩეული.

– ხომ არ არსებობს ორხელისუფლებიანობის საფრთხე, იმიტომ, რომ ვხედავთ ხელისუფლებას, რომელიც მყარად ზის სავარძლებში, მეორე მხრივ ვხედავთ ოპოზიციასა და უკმაყოფილო საზოგადოებას, რომელიც არსებული ხელისუფლების ქმედებებთან შეგუებას არ აპირებს. თანაც დიდია შანსი, რომ ეს სურათი უფრო გამწვავდეს...

– ღმერთმა დაგვიფაროს, ეს ყველაზე ცუდი სცენარია. თუ მდგომარეობა ისე დაიძაბება, რომ პრეზიდენტს ქვეყანაში აღარ დაედგომება, შესაძლოა მართლაც წავიდეს ქვეყნიდან გადადგომის გარეშე, ანუ მოხდეს ის, რაც თავის დროზე გამსახურდიასთან მიმართებაში მოხდა. ასეთი რამ უკვე გავიარეთ და არ უნდა დავუშვათ.

– ოპოზიცია საყოველთაო დაუმორჩილებლობასაც გვპირდება, რამდენად შესრულებადი განცხადებაა?

– თუ ხელისუფლებამ გააგრძელა ის დამოკიდებულება ხალხის მიმართ, რაც ამ შეხვედრისას დაფიქსირდა, არაფერი არ არის გამორიცხული. პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ხალხისგან უფლებამოსილება. გვაქვს კონსტიტუციის მე-5 მუხლი, სადაც წერია, რომ ძალაუფლების წყარო არის ხალხი. ხოლო ხალხი ამ თავის სურვილს გამოხატავს რეფერენდუმის გზით. როდესაც სახეზე გვაქვს დაკარგული ტერიტორიები, წაგებული ომი გაუმართლებელი ეკონომიკური პოლიტიკა და ეს ყველაფერი ქმნის ერთიან სავალალო სურათს, ხელისუფალმა კვლავ უნდა მიიღოს ხალხისგან ნდობა. ყველა რუსთაველზე ხომ ვერ დადგება, ყველა ქუჩაში ხომ ვერ გამოვა. თანაც, ხელისუფლებასაც რომ არ მოჰყავდეს არგუმენტად, აქ რამდენიც არ უნდა დადგეს, ამაზე მეტი სახლში ზისო, ამიტომ მას კიდევ ერთხელ სჭირდება ხალხის ნდობის მიღება. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი კონსტიტუციის მე-5 მუხლის ამოქმედება, თუმცა ხელისუფლება ჯერ-ჯერობით ამაზე წასვლას არ აპირებს. ძალიან არ მინდა, ისე მოხდეს, ერთხელაც გამოაცხადოს სააკაშვილმა, რომ რომ ამ დათმობაზე მოდის და უკვე გვიან იყოს.

– როგორ ფიქრობთ, რა იქნებოდა ამ მოლაპარაკების იდეალური შედეგი?

– ეს იქნებოდა რეფერენდუმის ჩატარება, რასაც წინ უნდა უძღვოდეს კოალიციური მთავრობის შექმნა, სადაც ოპოზიციის ლიდერები შეძლებენ, აღმასრულებელი ხელისუფლებიდან გააკონტროლონ რეფერენდუმის პროცესი. ასევე აუცილებელია, საარჩევნო კომისიაში ოპოზიიის წამომადგენლების აქტიური მონაწილეობა და რეფერენდიმის პროცესის დროს უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა.

– რაც შეეხება ეკონომიკას, რომელიც პოლიტიკური დაძაბულობიდან გამომდინარე, ყველამ დავივიწყეთ, ამასობაში როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდა?

– ახალ საწარმოებში ინვესტიციებვის ჩადება რა თქმა უნდა, გამართლებული არ არის, იმიტომ, რომ არავინ არ გარისკავს, მაგრამ ის რაც მუშაობს, მუშაობს. პრობლემები მაშინ შეგვექმნება თუ ეს დაძაბულობა კიდევ დიდხანს გასტანს, თუ ხელისუფლება ან ოპოზიცია უფრო რადიკალურ აგრესიულ ზომებს მიმართავს.

– ოპოზიციის გეგმაში იყო გზების, საკვანძო მაგისტრალების გადაკეტვა, რომელიც გადაიდო, მაგრამ ამ წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ კვლავ ძალაში შევიდა. მაშინ როდესაც ოპოზიციამ ეს თემა წამოჭრა, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გვითხრა, რომ გზების გადაკეტვა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ ვალდებულებების დარღვევას ნიშნავს. არსებობს თუ არა ამ ქვეყნებთან ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავების საფრთხე?

– მე პირადად ვერ მოვიწონებ ოპოზიციის ამგვარ გადაწყვეტილებას. ეს იგივე იქნება რაც, ლამის ოცი წლის წინ სამტრედიაში რკინიგზის გადაკეტვა იყო. ამგვარი ქმედება უწინარეს ყოვლისა ქვეყანას დააზარალებს: სატრანზიტო ტვირთ-ნაკადები გადამისამართდება და მომავალში მათი უკან დაბრუნება ძალზედ რთული იქნება.

– როგორც ვიცით, თქვენ ატარებდით უცხოეთიდან შემოსული დახმარებების მინიტორინგს და გარკვეული შენიშვნებიც გქონდათ...

– შევისწავლეთ ის, თუ როგორ იყო ასახული საქართველოს 2008-2009 წლების ბიუჯეტებში ის თანხები, რომლებიც გასულ წელს დონორთა კონფერენციის გადაწყვეტილების შემდეგ მივიღეთ. თანხის 1/3 უკვე შემოსულია და სწორედ ეს არის საფუძველი, რომ საქართველომ სრული ეკონომიკური კოლაფსი თავიდან აიცილა. ამავდროულად, ბიუჯეტში ასახული თანხები ხშირად არ არის გამჭვირვალე და ძნელი მოსაძებნია, ადეკვატურად არ არის ასახული ესა თუ ის თანხა, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიიღო. ჩვენ მივეცით გარკვეული რეკომენდაციები, მთავრობამ ეს როგორ უნდა გამოასწოროს, რადგან თანხების გამჭვირვალობა არის იმის ერთ-ერთი გარანტი, რომ ქვეყანას დახმარება გაუგრძელდეს.

– დაუზუსტებელი ინფორმაციით შესაძლოა გაუქმდეს ბანკთაშორისი სავაჭრო ბირჟა. "ვერსიის" წყარის ცნობით, ეს არის მსოფლიო ბანკის მოთხოვნა, რომელიც იმით აიხსნება, რომ ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნება ამ ბირჟის მესვეობუით ხელოვნურად ხდება. თუ მართლაც ასე მოხდა, რამდენად გამარტლებული იქნება ასეთი გადაწყვეტილება?

– ექსპორტი ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე იმპორტი, ანუ საგარეო ვაჭრობიდან ფული გარეთ გაედინება. უცხოური ვალუტის მიღების მეტ-ნაკლებად სერიოზული წყაროებია უცხოური ინვესტიციები და საზღვარდარეთ მცხოვრებ თანამოქალაქეთა მიერ გამოგზავნილი თანხები. უცხოეთში მცხოვრებ თანამემულეთა მიერ გამოგზავნილი თანხები მცირდება, რადგან ფინანსური კრიზისის გამო ყველგან ჭირს ცხოვრება. ამ კრიზისისა და რუსული აგრესიის გამო ასევე შემცირებულია უცხოური ინვესტიციები, ამიტომ უცხოური ვალუტის შემოსვლის ერთად-ერთი წყარო არის ის უცხოური დახმარება, რომელსაც სახელმწიფო იღებს. თუ ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა ინტერვენცია და არ დააკვირდა იმას, თუ ბანკთაშორის ბირჟაზე რა ხდება, მაშინ ლარის მყისიერი ვარდნა, დევალვაცია, გაუფასურება მოხდება, რაც საბოლოოდ დაანგრევს ჩვენს ეკონომიკას. ასეთი რამის გაკეთება ჭკუაზე მყოფ ადამიანს არ შეიძლება თავში მოუვიდეს, იმიტომ, რომ ეკონომიკისათვის მთავარია პროგნოზირებადობა. თითოეულ მეწარმეს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს, რა იქნება, ხვალ, ზეგ. წარმოიდგინეთ ასეთი ჩარევა რომ არ განხორციელდეს, უცხოური ვალუტის შემოდინება ისედაც შემცირებულია, იმპორტის მოცულობა კი უზარმაზარი, მოხდება ფასების არნახული ზრდა, ანუ ინფლაცია. ასე, რომ ნახტომისებური დევალვაცია და მაღალი ინფლაცია ერთმანეთის პარალელურად განვითარდება. ამიტომ, ვინც არ უნდა იდგეს ამ წინადადების უკან, აბსოლუტურად მიუღებელია!

ლალი ზირაქიშვილი